

თავი 10**მოთხოვნათა აღრიცხვა – ტმტები****1. საწარმოს დებიტორები არიან ის პირები:**

- ა) რომლებმაც საწარმოს კრედიტში მიჰყიდეს საქონელი;
- ბ) რომელთაც საწარმომ უნაღლო ანგარიშსწორებით იმავდროული გადახდის საფუძველზე გაუწია მომსახურება;
- გ) რომლებთან ურთიერთობაშიც საწარმომ აღიარა შემოსავალი რეალიზაციიდან მომავალში ფულის მოთხოვნის უფლებით.

2. მოთხოვნების სახით მისაღები სარგებელი საწარმოს აღრიცხვაში აისახება როგორც აქტივი თუ:

- ა) შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედო შეფასება;
- ბ) შესაძლებელია მისგან ეკონომიკური სარგებლის მომავალში შემოღინება;
- გ) ორივე პასუხი მართებულია.

3. დებიტორების მიმართ მოთხოვნის უფლებები საწარმოს წარმოშობა:

- ა) მხოლოდ საქონლის ან მომსახურების რეალიზაციის დროს;
- ბ) საქონლის რეალიზაციის დროს, რომელსაც თან არ ახლავს მომსახურება;
- გ) ნებისმიერი გარიგების დროს, რომელიც წარმოშობს მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღების უფლებას.

4. საწარმოსათვის დებიტორთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის მომავალში მიღების უფლება შეიძლება უკავშირდებოდეს:

- ა) ამ საწარმოსათვის სხვა საწარმოს მიერ გადახდილ ავანსებს;
- ბ) ამ საწარმოს მიერ სხვა საწარმოსათვის გადახდილ ავანსებს;
- გ) არცერთ ამთავანს.

5. მოთხოვნათა კლასიფიკაცია შესაძლებელია:

- ა) ეკონომიკური შინაარსის მიხედვით;
- ბ) განაღდების ვადის მიხედვით;
- გ) როგორც განაღდების ვადის, ისე ეკონომიკური შინაარსის მიხედვით.

6. საწარმოს მიერ საქონლის კრედიტში რეალიზაცია წარმოშობს:

- ა) კრედიტორულ დავალიანებას;
- ბ) დებიტორულ დავალიანებას;
- გ) ორივე პასუხი მცდარია, რადგან საქონლის კრედიტში რეალიზაციისას ოპერაცია ბუღალტრულად არ აისახება ფულის მიღებამდე.

7. საქონლის ან მომსახურების კრედიტში რეალიზაციისას:

- ა) მიწოდებისთანავე ვალდარებთ შემოსავალს და აქტივებში ფულის შემოსვლას;
- ბ) მიწოდებისთანავე ვალდარებთ შემოსავალს და აქტივებში ფულის ნაცვლად აისახება მოთხოვნა;
- გ) არცერთი პასუხი არ არის მართებული.

8. აღრიცხვაში მოთხოვნის ასახვა უკავშირდება:

- ა) დარიცხვის მეთოდს;
- ბ) საკასო მეთოდს;
- გ) შეიძლება უკავშირდებოდეს დარიცხვის მეთოდსაც და საკასო მეთოდსაც.

9. მიუთითეთ, საქონლის ან მომსახურების კრედიტში რეალიზაციისას რომელი ბუღალტრული გატარებაა მართებული:

- ა) დ 1210 – „ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში“
კ 6110 – „შემოსავალი რეალიზაციიდან“
- ბ) დ 1410 – „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“
კ 6110 – „შემოსავალი რეალიზაციიდან“
- გ) დ 1810 – „მისაღები დივიდენდები“
კ 8120 – „დივიდენდები“.

10. თუ საწარმო დებიტორს საშუალებას აძლევს ისარგებლოს ფასდათმობით ან დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში უკან დააბრუნოს საქონელი, დებიტორი კი სარგებლობს ამ შეღავათით, მაშინ:

- ა) ამ ოპერაციის ასახვა ხდება ანგ. 6120-ის „გაყიდული საქონელის დაბრუნება ან ფასდათმობა“ - დანახდის გზით;
- ბ) ანგ. 6110-ის „შემოსავალი რეალიზაციიდან“ - დანახდის გზით;
- გ) არცერთი პასუხი არ არის მართებული.

11. საქონლის ან მომსახურების კრედიტში რეალიზაციისას გამყიდველმა მყიდველს შესთავაზა ფასდათმობა შემდეგი პირობით: 2/15, n/45. ეს ნიშნავს:

- ა) მყიდველს შეუძლია ისარგებლოს 15%-იანი ფასდათმობით თუ გადახდა მოხდება 45 დღეზე ადრე და 2%-იანი ფასდათმობით – სხვა ნებისმიერ შემთხვევაში;
- ბ) მყიდველისათვის დაწესებულია გადახდის მაქსიმალური 45 დღიანი პერიოდი და 2%-იანი ფასდათმობით სარგებლობის უფლება 15 დღეში გადახდის პირობით;
- გ) მყიდველისათვის დაწესებულია გადახდის მაქსიმალური 45 დღიანი პერიოდი და 2%-იანი ფასდათმობით სარგებლობის უფლება, თუ ის გადახდას განაზოგცილებს გადახდის მაქსიმალურ პერიოდზე 15 დღით ადრე.

12. კრედიტში რეალიზაციისას, ფასდათმობის პირობების არსებობისას, მიმწოდებელის მიერ ოპერაციის „წმინდა თანხის მეთოდით“ აღრიცხვა გულისხმობს:

- ა) ფასდათმობის აღიარებას მაშინ, როცა მომხმარებელი ისარგებლებს ამ ფასდათმობით;
- ბ) გაყიდვის დროს ფასდათმობის აღიარებას და დებიტორისაგან შეღავათის გამოუყენებლობის შემთხვევაში მის შესწორებას;
- გ) მიმწოდებელი აღიარებს ფასდათმობას და დებიტორს უწესებს ფასდათმობით სარგებლობის აუცილებლად გამოყენების პირობას.

13. უიმედო ვალი ფინანსურ ანგარიშგებაში:

- ა) უნდა აისახოს მოთხოვნის სახით;
- ბ) არ უნდა აისახოს მოთხოვნის სახით, შესაბამისობისა და საიმედოობის მოთხოვნის გათვალისწინებით;
- გ) ასახვის საკითხს წვევებს ანგარიშგების საიმედოობაზე უფლებამოსილი პირი თავისი შეხედულებისამებრ.

14. თუ საანგარიშებო პერიოდის ბოლოს არსებობს სავაჭრო მოთხოვნები, რომელთა მიღება საეჭვოა, მაშინ:

- ა) უნდა შეიქმნას საეჭვო დებიტორული დავალიანების რეზერვი და მოთხოვნა აღიარდეს ხარჯად;
- ბ) მხოლოდ უიმედო დებიტორისთვის შეიქმნას რეზერვი;
- გ) არცერთი პასუხი არ არის მართებული.

15. ანგ. 1415 „საეჭვო მოთხოვნების კორექტირება“ - კონტრალური პასიური ანგარიშია, რომელსაც:

- ა) წლის ბოლოს უნდა ექნეს სადებეტო ნაშთი;
- ბ) წლის ბოლოს უნდა ექნეს საკრედიტო ნაშთი;
- გ) არცერთი პასუხი არ არის მართებული.

16. მიუთითეთ უიმედო დებიტორის აღდგენისას რომელია სწორი ბუღალტრული გატარება, თუ კი იმავალროულად მოხდა მისი გადახდაც ნაღდი ანგარიშსწორებით:

- ა) დ 1110 - „ნაღდი ფული საღაროში“
კ 1415 - „საეჭვო მოთხოვნების კორექტირება“
- ბ) დ 1110 - „ნაღდი ფული საღაროში“
კ 1410 - „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“
- გ) დ 1410 - „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“
კ 1415 - „საეჭვო მოთხოვნების კორექტირება“
- დ 1110 - „ნაღდი ფული საღაროში“
კ 1410 - „მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან“

17. ანგ. 1415 –ს „საეჭვო მოთხოვნების კორექტირება“ - შეიძლება გაუჩნდეს სადებეტო ნაშთი, თუ წლის განმავლობაში:

- ა) ჩამოიწერა იმაზე ნაკლები დებიტორი ვიდრე რეზერვის შექმნისას იყო მიჩნეული, როგორც საეჭვო;
- ბ) ჩამოიწერა იმაზე მეტი დებიტორი ვიდრე რეზერვის შექმნისას იყო მიჩნეული, როგორც საეჭვო;
- გ) ჩამოიწერა იმდენივე დებიტორი რამდენიც მიჩნეული იყო საეჭვოდ წლის დასაწყისში.

18. ფინანსური ანგარიშების მომზადებისას საწარმოს მოეთხოვება მეკავშირე საწარმოს მიმართ წარმოშობილი მოთხოვნები:

- ა) ასახონ ცალკე მუხლის სახით;
- ბ) ასახონ სხვა მოკლევადიან მოთხოვნებთან ერთად;
- გ) ასახონ სხვა გრძელვადიან მოთხოვნებთან ერთად.

19. მისაღები პროცენტები და მასთან დაკავშირებული მოთხოვნების გათვლა ხდება 360 დღიანი მეთოდით. ეს ნიშნავს:

- ა) ყოველ თვეში პროცენტის სახით უნდა დაირიცხოს ერთი და იგივე თანხა;
- ბ) ყოველდღიურად პროცენტის სახით უნდა დაირიცხოს ერთი და იგივე თანხა;
- გ) ყოველწლიურად (სესხის დაფარვამდე) წელიწადში ერთხელ უნდა დაირიცხოს პროცენტი.

20. მოთხოვნები განიხილებიან გრძელვადიანად, თუ ისინი გადაიხდება წარმოშობიდან ან ფინანსური ანგარიშების შედგენიდან:

- ა) ერთი წლის ვადაში;
- ბ) ერთი წლის შემდეგ;
- გ) ორივე პასუხი მცდარია.

21. გრძელვადიანი მოთხოვნის გადატანა მოკლევადიანი მოთხოვნის ანგარიშზე ხდება თუ ბალანსის შედგენის თარიღისათვის რომელიმე გრძელვადიანი მოთხოვნის დაფარვის ვადა:

- ა) 12 თვეზე მეტია;
- ბ) 12 თვეზე ნაკლებია;
- გ) 6 თვეზე ნაკლებია.

22. ტრატა, რომელიც წარმოადგენს დავალებას, რომელსაც კრედიტორი აღგენს გადამხდელისადმი, გადაუხადოს დათქმულ ვადაში თანხა მესამე პირს, არის:

- ა) მარტივი თამასუქი;
- ბ) გადაპირებული თამასუქი;
- გ) გადასაპირებელი თამასუქი.

23. გაცემული თამსუქი წარმოშობს:

- ა) საპროცენტო შემოსავალს;
- ბ) საპროცენტო ხარჯს;
- გ) გასანაღლებელ დივიდენდს.

მოთხოვნების აღრიცხვა – ამოცანები**ამოცანა N1**

20X2 წლის 10 მაისს შპს „დვრიტამ“ შპს „ომეგას“ მიაწოდა 12.300 ლარის საქონელი. ამ უკანასკნელმა კი აღნიშნული მიწოდების საფასურის ნაწილი 12.000 ლარი უნდა გადაუხადოს შპს „დვრიტას“ უნაღლო ანგარიშსწორების წესით 1 ივნისისათვის, ხოლო დარჩენილი 300 ლარის გადახდა უნდა განახორციელოს შპს „დვრიტას“ საღარიბოში იმავე წლის 6 ივნისს.

მოგეთხოვებათ:

გაატაროთ ოპერაციები ბუღალტრულად ორივე საწარმოსათვის ცალ-ცალკე, თუ შპს „ომეგამ“ ნაკისრი ვალდებულება დათქმულ დროებში შეასრულა.

ამოცანა N2

შპს „ნიუმ“ მომხმარებელს მ/წლის 1 ივნისს 6.750 ლარის საქონელი მიაწოდა იმავდროული (ნაღდი) ანგარიშსწორების პირობით, 11.000 ლარის საქონელი კი მიჰყიდა კრედიტში. მხარეები შეთანხმდნენ, რომ შემდეგში ნაღდი ანგარიშსწორებით დაცული იქნებოდა შემდეგი საკრედიტო პირობა: 4/15, N/25. ამასთანავე კრედიტორმა დებიტორს დაუტოვა უფლება აღმოჩენილი წუნის შემთხვევაში უკან დაებრუნებინა მხოლოდ 3.000 ლარამდე ღირებულების დეფექტური საქონელი. დებიტორმა 3 ივნისს აღმოაჩინა და უკან დააბრუნა 1.750 ლარის დეფექტური საქონელი, 15 ივნისს მოახდინა კრედიტში შეძენილი საქონელიდან 8.000 ლარის შენაძენის ღირებულების გადახდა, ხოლო დარჩენილი ვალდებულების დაფარვა განახორციელა 24 ივნისს უნაღლო ანგარიშსწორების წესით.

მოგეთხოვებათ:

მოახდინოთ აღნიშნული ოპერაციების ბუღალტრული გატარება შპს „ნიუმს“ აღრიცხვაში, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს უკანასკნელი დებიტორს აღრიცხავს მთლიანი თანხის მეთოდით.

ამონაჩა

შპს „მეგას“ მიერ 20X2 წლის 1 სექტემბერს განხორციელდა 22.000 ლარის საქონლის კრედიტში შეტენა შემდეგი საკრედიტო პირობით: 5/15, n/45. შპს „მეგას“ ამ დავალიანების დაფარვა განხორციელა 15 ოქტომბერს უნაღდო ანგარიშსწორების წესით. მან ამავე წლის 18 ოქტომბერს კრედიტში მოახდინა აღნიშნული შენაძენიდან 12.000 ლარის საქონლის 15.000 ლარად რეალიზაცია საკრედიტო პირობით: 2/10, n/40, ხოლო დარჩენილი 10.000 ლარის საქონელი ამავე დღეს გაყიდა 10.600 ლარად უნაღდო ანგარიშსწორებით.

მოგვთხოვბათ:

ასახოთ ყველა ოპერაცია ბუღალტრულად შპს „მეგას“ აღრიცხვაში, თუ ცნობილია, რომ შპს „მეგას“ დებიტორმა საკრედიტო ფასდათმობით ისარგებლა და 21 ოქტომბერს საბანკო ოპერაციით გადაიხადა 12.250 ლარი, დარჩენილი დავალიანება კი დაფარა ასევე უნაღდო ანგარიშსწორებით 26 ნოემბერს. შპს „მეგას“ დებიტორთან ურთიერთობას აღრიცხავს წმინდა თანხის მეთოდით.

ამოცანა N4

საწარმო დებიტორების დათვლისას იყენებს ნეტო რეალიზაციიდან პროცენტული გათვლის მეთოდს. საანგარიშო პერიოდისათვის მთლიანმა შემოსავალმა შეადგინა 2.620.000 ლარი, ფასდათმობის თანხამ კი – 23.600 ლარი. საწარმოს ხელმძღვანელობა ვარაუდობს, რომ ამოუღებელი დებიტორული დავალიანება ნეტო რეალიზაციის 7% იქნება.

მოგეთხოვებათ:

მოახდინოთ წლის ბოლოსათვის საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯების ბუღალტრული გატარება თუ:

- ა) ანგ. 1415-ზე არის 25.000 ლარი სადებიტო ნაშთი
- ბ) ანგ. 1415-ზე არის 12.600 ლარი საკრედიტო ნაშთი

ამოცანა N5

შპს „კოლხა“ დაარსდა მ/წლის 10 მაისს. საწესდებო კაპიტალი განსაზღვრულია 100.000 ლარის ოდენობით, რომლის ნაწილის, კერძოდ 45.000 ლარით შევსება წესდების თანახმად პარტნიორებმა განახორციელეს 20 მაისს. საწესდებო კაპიტალის დარჩენილი ნაწილის შევსება პარტნიორებმა უნდა მოახდინონ 1 აგვისტოსათვის და შენატანი წესდების თანახმად უნდა განახორციელონ ძირითადი საშუალებით.

მოგეთხოვებათ:

მოახდინოთ შესაბამისი სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრული გატარება შპს „კოლხას“ აღრიცხვაში, თუ ცნობილია, რომ 1 აგვისტოს პარტნიორების მიერ საწესდებო კაპიტალი შეივსო მანქანა-დანადგარით.

აქოცანა №6

“X” და “Y” კომპანიებს შორის 20X2 წლის 10 სექტემბერს გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების შედეგად “X” კომპანიას “Y” კომპანიის მიმართ წარმოეშვა მოთხოვნა 1.260.000 ლარზე. არნიშნული დავალიანების დაფარვა დებიტორმა უნდა მოახდინოს სამი წლის ვადაში თითოეულ წელზე თანაბრად. გადახდა წარმოებს უნაღლო ანგარიშსწორებით, ყოველი წლის 10 დეკემბრისათვის და პირველი გადახდა უნდა განხორციელდეს 20X3 წელს.

მოგეთხოვებათ:

მოახდინოთ ბუღალტრული გატარებების ჩაწერა “X” კომპანიის აღრიცხვაში 20X2 წლის 10 სექტემბრისათვის და 31 დეკემბრისათვის, ასევე 20X3 წლის 10 დეკემბრისათვის.

აქოცანა №7

ამოულებადი დებიტორული დავალიანების დათვლა ხდება ანალიზის მეთოდის გამოყენებით.

0-დან 30 დღემდე ვადაგადაცილებული დებიტორების დავალიანება არის 70.000 ლარი, სარეზერვო თანხა გაითვლება 4%-იანი მაჩვენებლით.

30 დღიდან 3 თვემდე ვადაგადაცილებული დებიტორების დავალიანება 12.000 ლარია, სარეზერვო თანხა გაითვლება 10%-იანი მაჩვენებლით.

ანგარიშ 1415-ზე არის: ა) სადებეტო ნაშთი 20.000 ლარი

ბ) საკრედიტო ნაშთი 1.200 ლარი

მოგეთხოვებათ:

მოახდინოთ წლის ბოლოსათვის საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარჯების ბუღალტრული გატარება.

ამოცანა N8

კომპანიაში 20X1 წლის ბოლოს 20X2 წლისათვის ანალიზის მეთოდით დათვლილი რეზერვის სიდიდე და შესაბამისად რეზერვის ნაშთი 12.000 ლარის ტოლია.

20X2 წლის 10 ნოემბერს კომპანიის მიერ ჩამოიწერა 7.000 ლარიანი დებიტორი.

20X2 წლის 15 დეკემბერს კომპანიაში ჩამოწერილი დებიტორისგან მიიღო დავალიანების ნაწილი 4000 ლარის ოდენობით.

20X2 წლის 31 დეკემბერს 20X3 წლისათვის კომპანიის მიერ ანალიზის მეთოდით დათვლილი საეჭვო მოთხოვნებთან დაკავშირებული რეზერვის ოდენობა 35.000 ლარის ტოლია.

მოგეთხოვებათ:

გაატაროთ ბუღალტრულად დებიტორის ჩამოწერის, დებიტორისგან თანხის მიღების და რეზერვის შექმნის ოპერაციები.

ამოცანა N9

საწარმო „ვარაზი“ ახდენს საქონლის რეალიზაციას კრედიტში და აწარმოებს დებიტორების ანალიზურ აღრიცხვას. 20X2 წლის იანვრის დასაწყისისათვის მას დებიტორების მიმართ მოთხოვნის სახით ერიცხებოდა საწყისი ნაშთი 30.400 ლარის ოდენობით, მათ შორის:

- 1) შპს „ალდავის“ მიმართ - 2.000 ლარი;
- 2) შპს „არვოს“ მიმართ - 9.000 ლარი;
- 3) შპს „გინოს“ მიმართ - 4.100 ლარი;
- 4) შპს „აიას“ მიმართ - 8.500 ლარი;
- 5) შპს „ინტელექტის“ მიმართ - 6.400 ლარი და
- 6) შპს „საბას“ მიმართ - 400 ლარი.

20X2 წლის იანვრის თვეში საწარმო „ვარაზმა“ განახორციელა შემდეგი ოპერაციები:

- 1) 3 იანვარს საწარმო „ალდავს“ კრედიტში მიყიდა საქონელი 5.000 ლარად;
- 2) 7 იანვარს შპს „აია“-სგან მიიღო დებიტორული დავალიანების თანხა 500 ლარი საბანკო ანგარიშზე;
- 3) 8 იანვარს საწარმო „გინოსაგან“ საღაროში მიიღო დებიტორული დავალიანების თანხა 2.700 ლარი;
- 4) 10 იანვარს კრედიტში შპს „ინტელექტს“ მიყიდა საქონელი 700 ლარად;
- 5) 13 იანვარს შპს „ინტელექტისგან“ საბანკო ანგარიშზე მიიღო 4.700 ლარი.

მოგეთხოვებათ:

მოახდინეთ 20X2 წლის იანვრის თვეში საწარმო „ვარაზის“ მიერ განხორციელებული ოპერაციების ბუღალტრიულ მუხლებში გატარება, შეავსეთ ანგარიშ 1410-ის ჟურნალ-ორდერი და გამოიყვანეთ თვის ბოლო შედეგები.

ჟურნალ-ორდერი
ანგარიში № 1410 - “მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან”
წელი 20X2; თვე იანვარი

№	ოპერაციის შინაარსი	საწყისი ნაშთი		დებეტი			დებეტის ჯამი	კრედიტი				კრედიტის ჯამი	საბოლოო ნაშთი	
		დებეტი	კრედიტი	ანგარიშების კრედიტი				ანგარიშების დებეტი					დებეტი	კრედიტი
				№-	№-	№		№-	№-	№-	№-			
